შეკითხვები, "ქიფზის საგადახდო სისტემების" დირექტორს - ნიკა კილაძეს.

რადიო თავისუფლების ინფორმაციით, Yandex Go-ს (შპს რაიდტექ ჯორჯია) „იანდექს ტაქსის" სერვისის საბარათე გადახდების მომსახურებას (ექვაირინგს) 2026 წლის სექტემბრამდე შპს „ვიპ ფეი" (406370831) ახორციელებდა.
რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამჟამად ამ მომსახურებას „იანდექსს" შპს „ქიფზის საგადახდო სისტემა" (KEEPZ.ME, ს/ნ: 405618915) უწევს.
ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას და როდიდან, ვისი ინიციატივით, რა პირობებით მოხდა "ვიპ ფეის" თქვენი კომპანიით ჩანაცვლება.
რომელი კომერციული ბანკი (ან ბანკები) უზრუნველყოფს ტექნიკურად „ქიფზის" პლატფორმის გავლით მიმდინარე Yandex Go-ს საბარათე ტრანზაქციების საბოლოო კლირინგსა და ექვაირინგს? ჰქონდათ თუ არა მომსახურე ბანკებს რაიმე სახის შეზღუდვა, დამატებითი მოთხოვნა ან კითხვა Yandex-ს კორპორატიულ ქსელთან დაკავშირებულ ფინანსურ, სანქციურ და შესაბამისობის (Compliance) რისკებთან მიმართებაში?
დღეისთვის რაიმე სახის კავშირი ამ კომპანიებთან აქვს თუ არა ვახტან (ვაკო) თურნავას, ის რაიმე ფორმით ჩართულია თუ არა ამ კომპანიების საქმიანობის წარმართვაში.

პატივისცემით, გიორგი მგელაძე
"რადიო თავისუფლების" ჟურნალისტი

Keepz-ს ხელმძღვანელის, ნიკა კილაძის პასუხები

Keepz ქართული საგადახდო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა სექტორში მოქმედ ბიზნესებს, მათ შორის მსხვილ ონლაინსერვისების პროვაიდერებს, თანამედროვე და ინოვაციურ საგადახდო გადაწყვეტილებებს სთავაზობს.

კონკრეტულ კლიენტებთან თანამშრომლობისა და კომერციული ურთიერთობების დეტალებს საჯაროდ არ განვიხილავთ. ზოგადად, მსხვილი სერვისების მიერ რამდენიმე საგადახდო პროვაიდერთან თანამშრომლობა ბაზარზე გავრცელებული პრაქტიკაა.

Keepz საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების შესაბამისად ახორციელებს. კლიენტებისა და ტრანზაქციების შემოწმება, მათ შორის AML/KYC და სანქციებთან შესაბამისობის პროცედურები, ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

გადახდების დამუშავება ლიცენზირებული ქართული კომერციული ბანკების მონაწილეობით ხორციელდება. რაც შეეხება პარტნიორი ბანკების შიდა პროცედურებსა და შესაბამისობის შეფასებებს, აღნიშნულ საკითხებზე კომენტარის გაკეთება თავად ბანკების კომპეტენციაა.
ვახტანგ თურნავას დღეს არანაირი კავშირი არ აქვს კომპანიასთან.

თუ Keepz-ის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია დაგჭირდებათ, სიამოვნებით გაგიზიარებთ.